



# AGE – AS THE BASIS OF MINIMUM AGE OF CRIMINAL RESPONSIBILITY (Analysis of International and National legislation)

Salome Guliashvili

*PhD student of Caucasus International University School of Law*

---

## ARTICLE INFO

---

### *Article History:*

Received 27.09.2022  
Accepted 22.11.2022  
Published 28.12.2022

---

### *Keywords:*

Age, Juvenile, Responsibility,  
Resocialization

---

## ABSTRACT

---

The topic of the scientific work is relevant both in international and national legislation. The minimum age of criminal liability is the limit from which the state begins to implement its repressive measures against minors. Therefore, it is important to regulate the minimum age in such a way that it is in harmony with the bio-psycho-social condition of the minor and to achieve the goals of criminal law, in terms of analyzing the committed crime, and at the same time, the main goal of punishment in juvenile justice, such as resocialization-rehabilitation, is achievable. The article analyzes from which age the actions committed in the person of a person are analyzed, which should be directly related to the establishment of the minimum age limit. In addition, international approaches are compared with national legislation. It is worth noting that in the reality of Georgia, such an important institution as referral has been implemented, which does not leave minors under the minimum age, who have committed deviant actions, unresponsive. In the paper, the issues determining the criminal liability of a minor are discussed logically, after which the national legislation and international approaches are discussed. It is shown how important it is to correctly perceive/analyze the mentioned issue for the development of juvenile justice, and as a conclusion, the conformity of national approaches with internationally recognized best practice is shown, especially with the existence of such an important institution as – referral, thus, on the one hand, the state does not leave deviant cases without a response. The behavior, on the other hand, is prevented in the future by resocialization-rehabilitation of the minor.

# ასაკი, როგორც მინიმალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი (საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის ანალიზი)

სალომე გულიაშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი

საკვანძო სიტყვები: ასაკი, იუვენალური, პასუხისმგებლობა, რესოციალიზაცია

## შესავალი

იუვენალური იუსტიცია (Juvenile Justice) არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას გულისხმობს. სიტყვა „იუსტიცია“ უმეტესად განიშარტება, როგორც მართლმსაჯულება. შესაბამისად, იუვენალური მართლმსაჯულება ითარგმნება, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება.<sup>1</sup> იუვენალური იუსტიცია ჩამოყალიბდა ამერიკის შეერთებულ შტატებში და მისი მიზანი იყო მართლმსაჯულების ორბიტაზე მოხვედრილი არასრულწლოვანების დაცვა;<sup>2</sup> მიზნად ისახავდა არასრულწლოვანთათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მართლმსაჯულების შეთავაზებას. მთავარი ამოცანა იყო სრულწლოვანთაგან განსხვავებული სტანდარტებით ეხელმძღვანელოთ არასრულწლოვანთა მიმართ.<sup>3</sup>

საერთაშორისო ლექსიკონებში „იუვენალური იუსტიცია“ განმარტებულია, როგორც კანონთა ერთობლიობა, პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც დაკავშირებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეულ პირებთან, რომელთა მიმართაც მიმდინარეობს სისხლის სამართალით დარეგულირებული საკითხები, კანონმდებლობა, რომელიც იცავს მათ ინტერესებს და კანონით მინიჭებულ უფლებებს.<sup>4</sup>

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში უმნიშვნელოვანესი საკითხია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი (MACR), რომლიდანაც იწყება პირის მიმართ სახელმწიფოს რეპრესიული ზომების ამოქმედება. გაეროს გენერალური ასეამბლეს მიერ მიღებული ბავშვთა უფლებათა კონვენცია ხაზს უსვამს ბავშვებისთვის სპეციალური გარანტიების არსებობას, რომელთა შორისაცაა სისხლისსამართლებრი-

1 ბოხაშვილი, ი., & ბერიძე, მ. (2009). არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები. სამართლის ჟურნალი. 2, 35.

2 იქვე. 35.

3 მახარობლიძე, თ., (2020). არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების წარმოშობისა და განვითარების ისტორიულ-სამართლებრივი ასპექტები (შედარებით

ანალიზი). სამართლის ჟურნალი. 1, 256.

4 Britannica, Juvenile Justice meaning. <<https://www.britannica.com/topic/juvenile-justice>> [ბოლო წვდომა: 27.09.2022].

ვი პასუხისმგებლობის ასაკი, რაც იმგვარად უნდა განისაზღვროს, რომ იგი ითვალისწინებდეს მოზარდთა ემოციურ, მენტალურ და ინტელექტუალურ მოუმწიფებლობას.<sup>5</sup> სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ არასრულწლოვნებასა და სრულწლოვნებს შორის განსხვავებები, რომ იუვენალური იუსტიცია ორიენტირებულია ბავშვთა რესოციალიზაციაზე და არა მათ დასჯაზე და მათ მიმართ შურისძიებაზე, ვინაიდან არასრულწლოვნები მოწყვლადი კატეგორიაა მათი ფიზიკური და ფსიქოლოგიური, ემოციური და გონებრივი განვითარებიდან გამომდინარე.<sup>6</sup>

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი დებატების საგანია, ვინაიდან იგი კომბინირებულად არის როგორც სენსიტიური, ასევე არასწორი ინტერპრეტაციის, გამარტივებისკენ მიდრეკილი და მითებთან დაკავშირებული. კერძოდ, სენსიტიურობის განმარტებისას უთითებენ მცირე ასაკის ბავშვების მიერ ჩადენილი დანაშაულების სტატისტიკაზე, რაც ადეკვატურ პასუხს იძლევა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკთან დაკავშირებით. არასწორი ინტერპრეტაცია გაგებულია იმგვარად, რომ იუვენალური იუსტიციის არსის სწორად გააზრება მნიშვნელოვანია, რომ ეს არაა დასჯაზე ორიენტირებული და მასში პრიორიტეტულ როლს თამაშობს განრიდების ღონისძიებები; გამარტივების საკითხი გაგებულია, როგორც ასაკთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის ზომა, რომლის მიხედვითაც მაღალი ან დაბალი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი განსაზღვრავს, თუ პასუხისმგებლობის რა სახე დაეკისროს არასრულწლოვანს. მითი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკთან დაკავშირებით ნიშნავს, რომ ესაა საზოგადოებაში არსებული ასაკობრივი ზღვარი, როდესაც არასრულწლოვნებმა უნდა იცოდნენ განსხვავება სწორსა და არასწორ ქმედებებს შორის.<sup>7</sup>

5 Convention on the Rights of the Child, article 40 (3). <<https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/convention-rights-child>> [ბოლო წვდომა: 27.09.2022].

6 Justice for Children Briefing No. 4, Penal reform international, The minimum age of criminal responsibility, 2, <<https://www.penalreform.org/resource/justice-children-briefing-no4-minimum-age-criminal-responsibility/>> [ბოლო წვდომა: 27.09.2022].

7 Cipriani, D. (2009). Children's Rights and the Minimum

არასრულწლოვნის პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის დაწესება დაკავშირებულია ისტორიულ და კულტურულ კონტექსტთან. მთავარია, ბავშვის განვითარების დონე იძლევა თუ არა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გააზრების საშუალებას მისი ანტისოციალური ქცევის მიმართ.<sup>8</sup> ბავშვები და მოზარდები, მათი ასაკიდან გამომდინარე, განვითარებით განსხვავდებიან უფროსებისაგან, შესაბამისად, მათ მიმართ არსებული მართლმსაჯულება მორგებული უნდა იყოს რეაბილიტაცია-რესოციალიზაციაზე.<sup>9</sup> დიდი ხანია აღიარებულია, რომ მცირეწლოვანმა ბავშვებმა არ უნდა აგონ პასუხი თავიანთი ქმედებების გამო კანონის წინაშე.<sup>10</sup> ბავშვებზე მორგებული მართლმსაჯულება სრულწლოვანთაგან განსხვავებულ მიდგომებზეა დაფუძნებული, რადგანაც ბავშვი, მისი ფიზიკური და გონებრივი სიმწიფის გამო, საჭიროებს განსაკუთრებულ დაცვას და ზრუნვას.<sup>11</sup>

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის დაწესებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას ბავშვთა უფლებათა კომიტეტის მიერ დადგენილი ყველა ფუნდამენტური საკითხი, როგორცაა, პირველ რიგში, ბავშვის საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობის პრინციპი, რომლის თანხამაც ტრადიციული რეპრესიული ღონისძიე-

Age of Criminal Responsibility: A Global Perspective, Ashcroft, 11 <<https://www.taylorfrancis.com/books/mono/10.4324/9781315571584/children-rights-minimum-age-criminal-responsibility-cipriani>> [ბოლო წვდომა: 27.09.2022].

8 United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice ("The Beijing Rules"), Rule 4, <<https://www.ohchr.org/sites/default/files/Documents/ProfessionalInterest/beijingrules.pdf>> [ბოლო წვდომა: 27.09.2022].

9 მახარობლიძე, თ., (2020). არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების წარმოშობისა და განვითარების ისტორიულ-სამართლებრივი ასპექტები (შედარებითი ანალიზი). სამართლის ჟურნალი. 1, 255.

10 Penelope F. Brown, (2018). Age of criminal responsibility, 2 <[https://www.researchgate.net/publication/326066014\\_Age\\_of\\_Criminal\\_Responsibility?enrichId=rgreq-e09ee4d4f7a717932c6cdcbcc7367c49-XXX&enrichSource=Y292ZXJQYWdlOzMyNjA2NjAxNDtBUzo2NDI4NjY5Njc3NjkwOTZAMTUzMDI4MjgzNzc2Mg%3D%3D&el=1\\_x\\_2&esc=publicationCoverPdf](https://www.researchgate.net/publication/326066014_Age_of_Criminal_Responsibility?enrichId=rgreq-e09ee4d4f7a717932c6cdcbcc7367c49-XXX&enrichSource=Y292ZXJQYWdlOzMyNjA2NjAxNDtBUzo2NDI4NjY5Njc3NjkwOTZAMTUzMDI4MjgzNzc2Mg%3D%3D&el=1_x_2&esc=publicationCoverPdf)> [ბოლო წვდომა: 27.09.2022].

11 კილაძე, ს., ტურავა, პ., (2021). ბავშვის უფლებათა კოდექსის სახელმძღვანელო კომენტარი. თბილისი: გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 19.

ბები ჩანაცვლებული უნდა იქნეს აღდგენითი მართლმსაჯულებისა და რეაბილიტაციის მიზნებით.<sup>12</sup> ბავშვებზე კეთილდღეობის მიზნები ყველაზე მეტად მიღწევადია მაშინ, თუ მათი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი შეჯერებული იქნება თერაპიული და პრაქტიკული სერვისების გამაუმჯობესებელ გზებთან.<sup>13</sup>

ნაშრომის მიზანია, აჩვენოს – თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს არასრულწლოვანთა მინიმალური ასაკის დაწესებას, საიდანაც სახელმწიფო იწყებს რეპრესიული ღონისძიებების გატარებას – სისხლის სამართალში არსებული ინსტიტუტების სახით. პირველ რიგში, გასარკვევია საკითხი, თუ რასთან არის დაკავშირებული მინიმალური ასაკი, რაზე დაყრდნობით განისაზღვრება იგი. აღნიშნული საკითხის გაანალიზების შემდგომ, განხილულ იქნება საქართველოს კანონმდებლობა და წარმოჩინდება მისი შესაბამისობა საერთაშორისოდ მიღებულ პრაქტიკასთან. უფრო მეტიც, გაანალიზდება იმგვარი ინოვაციური საკითხი, როგორცაა რეფერირება, რაც ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, ბავშვთა დევიაციური ქცევების რეაგირების მიღმა დაუტოვებლობის საჩვენებლად. ყოველივე აღნიშნული საკითხების შესწავლა-გაანალიზების მიზნით გამოყენებული იქნება ანალიზისა და შედარების მეთოდი, ლოგიკური მსჯელობისა და აზროვნების მეთოდი.

„ადამიანის მაჩგო ადამიანად ე.ი. ანთიპოპო-  
ლოგიუხ-ბიოლოგიუხ მოვდენად ახსებობა სხუ-  
ლებითაც ახ ახის საკმახისი, ხომ მას საკუთაი  
ქცევისათვის პასუხისმგებლობა დავაკისხოთ.  
ამისათვის აუცილებელია, ადამიანი ამაღდეს პი-  
ხოვნებადმდე, ხაც წმინდა ნებისყოფასა და აზხო-  
ვნების „მეს“ გუდისხმობს. ეს ფაქტოხები ადამი-  
ანის გახეომცვედ სამყაიხოსთან უხთიეხთობის  
ძიხითადი მომენგებია, ხათა მას მოვთხოვოთ,  
პასუხი აგოს თავის ქცევაზე.“<sup>14</sup> სისხლისსამა-  
რთლებრივი პასუხისმგებლობა გაცილებით  
მეტია, ვიდრე განსხვავება კარგსა და ცუდს  
შორის. ის მოიცავს ურთიერთდამოკიდებული  
გონებრივი შესაძლებლობების ერთიანობას;  
მრავალ კომპლექსურ, ერთიანობაში გააზრე-  
ბულ საკითხებს.<sup>15</sup>

ასაკსა და დანაშაულს შორის ურთიე-  
რთობის დადგენა ყველაზე მნიშვნელოვანი  
ურთიერთობაა კრიმინოლოგიაში.<sup>16</sup> კრიმინო-  
ლოგიაში დანაშაულისა და ასაკის კავშირი  
აღინიშნება „ასაკის – დანაშაულის მრუდის“  
სახელით, რომლის თანახმადაც, კრიმინალი  
იზრდება ადრეულ მოზარდობაში, დაახლოე-  
ბით 14 წლის ასაკში, ხოლო პიკს აღწევს 20-იან  
წლებამდე, შემდეგ კი მცირდება.<sup>17</sup> მოზარდი-  
სათვის სისხლისსამართლებრივი პასუხის-  
მგებლობის დასაკისრებლად აუცილებელია

## ასაკი, როგორც

12 Justice for Children Briefing No. 4, Penal reform international, The minimum age of criminal responsibility, 3, <<https://www.penalreform.org/resource/justice-children-briefing-no4-minimum-age-criminal-responsibility/>> [ბოლო წვდომა: 27.09.2022].

13 Brien, W., & Fitz-Gibbon, K., (2017). The Minimum Age of Criminal Responsibility in Victoria (Australia): Examining Stakeholders' Views and the Need for Principled Reform. Youth Justice 134, 17 (2), 10 <[https://www.academia.edu/36811184/The\\_Minimum\\_Age\\_of\\_Criminal\\_Responsibility\\_in\\_Victoria\\_Australia\\_Examining\\_Stakeholders\\_Views\\_and\\_the\\_Need\\_for\\_Principled\\_Reform](https://www.academia.edu/36811184/The_Minimum_Age_of_Criminal_Responsibility_in_Victoria_Australia_Examining_Stakeholders_Views_and_the_Need_for_Principled_Reform)> [ბოლო წვდომა: 27.09.2022].

14 ხუჭუა, ნ., (2012). ასაკი, როგორც ბრალის გამომრიცხველი გარემოება. აღმანახი. 8, 12.

15 Justice for Children Briefing No. 4, Penal reform international, The minimum age of criminal responsibility, 3, <<https://www.penalreform.org/resource/justice-children-briefing-no4-minimum-age-criminal-responsibility/>> [ბოლო წვდომა: 27.09.2022].

16 Loeber, R., & Farrington, D., (2014). Age-crime curve. In: Encyclopedia of Criminology and Criminal Justice. New York: Springer, 1 <[https://www.researchgate.net/profile/Michael-Rocque/publication/286259570\\_Age\\_and\\_Crime/links/5a81a056a6fdcc098a188142/Age-and-Crime.pdf](https://www.researchgate.net/profile/Michael-Rocque/publication/286259570_Age_and_Crime/links/5a81a056a6fdcc098a188142/Age-and-Crime.pdf)> [ბოლო წვდომა: 27.09.2022].

17 Loeber, R., & Farrington, D., (2014). Age-crime curve. In: Encyclopedia of Criminology and Criminal Justice. New York: Springer, 1 <[https://www.researchgate.net/profile/Michael-Rocque/publication/286259570\\_Age\\_and\\_Crime/links/5a81a056a6fdcc098a188142/Age-and-Crime.pdf](https://www.researchgate.net/profile/Michael-Rocque/publication/286259570_Age_and_Crime/links/5a81a056a6fdcc098a188142/Age-and-Crime.pdf)> [ბოლო წვდომა: 27.09.2022].



სათანადოდ იყოს განვითარებული მისი ნევროლოგიური, ქცევითი, ემოციური და მორალური საკითხები.<sup>18</sup>

მეცნიერულად დადასტურებულია, რომ ტვინი ის უბნები, რომლებიც გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელი, ბოლომდე არ ფორმირდება სრულწლოვანების მიღწევამდე; გადაწყვეტილების მიღება, დაგეგმვა, სოციალური ურთიერთობები და სარისკო ქცევების დათრგუნვაზე პასუხისმგებელი ტვინის უბნები არის ის უბნები, რომელიც ყველაზე ბოლოს აღწევს მომწიფებას.<sup>19</sup> მოზარდების ნეიროგანვითარების მოუმწიფებლობა იწვევს მათ მიდრეკილებას ანტისოციალური ქცევების ჩადენისაკენ, მით უფრო, თუ თანატოლები დანაშაულებისკენ მიდრეკილები არიან, ვინაიდან ამ დროს მოზარდები თანატოლებისთვის „მოსაწონი“ საქციელების ჩადენას ცდილობენ.<sup>20</sup> სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის განსაზღვრისას მიიჩნევენ, რომ ამ დროს გათვალისწინებული უნდა იქნას მოზარდის ფსიქოლოგიური და მორალური განვითარება.<sup>21</sup>

მოზარდობის ასაკი ადამიანებში განისაზღვრება, როგორც ფსიქოლოგიურად და სოციალურად გარდამავალი პერიოდი ბავშვობასა და ზრდასრულობას შორის, ვინაიდან ამ დროს, სქესობრივი მომწიფების დაწყებისას, დრამატული ცვლილებებით ხასიათდება მოზარდის ორგანიზმი.<sup>22</sup>

ადამიანის ტვინის ის უბნები, რომლებიც კოგნიტურ ნაწილზე აგებენ პასუხს, 18 წლის

ასაკშიც ვითარდებიან. მეცნიერება ადასტურებს, რომ ნერვული განვითარება დაუსრულებელი რჩება ადრეულ სრულწლოვანებამდე. განვითარების მოუმწიფებლობა გავლენას ახდენს კოგნიტური აზროვნების მთელ რიგ საკითხებზე და ხასიათდება იმპულსურობით, გონივრულად საკითხების გაანალიზების გარეშე ქმედებით.<sup>23</sup>

ბავშვების ქცევაზე განვითარებას ახდენს ტვინის ანატომია და ბიოქიმია, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანის რისკების აღქმის უნარზე, იმპულსების კონტროლზე, ქმედების გამომწვევი შედეგების გაანალიზებაზე და ემოციების კონტროლზე. ტვინის ნაწილები, რომელიც ქმედების გაანალიზებას ეხება, იმპულსური ქცევის კონტროლი და შორსმჭვრეტელობა ადამიანის ტვინში 20 წლიდან ვითარდება და არა მოზარდობის პერიოდში, რაც არის იმის გამომწვევი, რომ მოზარდები არიან ზედმეტად ემოციურები, მიდრეკილნი რისკის შემცველი ქცევებისადმი და მომავლის განჭვრეტის უნარის დაქვეითებით. ადამიანის ტვინიდან გამომდინარე, მოზარდობისას მიღებული გადაწყვეტილებები დაკავშირებულია იმპულსურობასთან, ემოციებსა და აგრესიასთან.<sup>24</sup>

კვლევებმა აჩვენა, რომ „სამართლისა და წესრიგის“ მორალის გაგება თინეიჯერობის შუა პერიოდამდე არ ხდება, 11-იდან 15 წლამდე პერიოდში ინტენსიურად ვითარდება ლოგიკური აზროვნება და პრობლემის გადაჭრის უნარი, ამასთან, 10-დან 13 წლამდე ასაკის ბავშვები განსაკუთრებულად დაუცველები არიან თანატოლთა ზეწოლის მიმართ.<sup>25</sup>

„ახალსიფიქსიდან მთელი ქმედების დოკუმენტაცია განადიზების უნაჩი, ავგონომიუხობა, სხვების მხიდან განხოციელებურ ზეწოდაზე წინააღმდეგობა, დანაშაულისა და ანტისოციალუ-

18 Law Council of Australia, (2020). Council of Attorneys General – Age of Criminal Responsibility Working Group Review, Age of Criminal Responsibility Working Group, 11 <<https://www.lawcouncil.asn.au/docs/75d8d90e-385c-ea11-9404-005056be13b5/3772%20-%20CAG%20Review%20of%20age%20of%20criminal%20responsibility.pdf>> [ბოლო წვდომა: 27.09.2022].

19 Justice for Children Briefing No. 4, Penal reform international, The minimum age of criminal responsibility, 2, <<https://www.penalreform.org/resource/justice-children-briefing-no4-minimum-age-criminal-responsibility/>> [ბოლო წვდომა: 27.09.2022].

20 იქვე, 2.

21 იქვე, 2.

22 Blakemore, S., & Choudhury, S. (2006). Development of the adolescent brain: implications for executive function and social cognition. Journal of Child Psychiatry and Psychology. 47-51 <[https://www.researchgate.net/publication/26650410\\_The\\_Development\\_of\\_Adolescent\\_Social\\_Cognition](https://www.researchgate.net/publication/26650410_The_Development_of_Adolescent_Social_Cognition)> [ბოლო წვდომა: 27.09.2022].

23 Law Council of Australia, (2020). Council of Attorneys General – Age of Criminal Responsibility Working Group Review, Age of Criminal Responsibility Working Group, 11 <<https://www.lawcouncil.asn.au/docs/75d8d90e-385c-ea11-9404-005056be13b5/3772%20-%20CAG%20Review%20of%20age%20of%20criminal%20responsibility.pdf>> [ბოლო წვდომა: 27.09.2022].

24 Law Council of Australia, (2020). Council of Attorneys General – Age of Criminal Responsibility Working Group Review, Age of Criminal Responsibility Working Group, 12 <<https://www.lawcouncil.asn.au/docs/75d8d90e-385c-ea11-9404-005056be13b5/3772%20-%20CAG%20Review%20of%20age%20of%20criminal%20responsibility.pdf>> [ბოლო წვდომა: 27.09.2022].

25 იქვე.

ჩი ქმედებების შედეგების აღქმისა და განცდის უნაჩი განუვითარებელია, ხაც ხედს უწყობს საკუთარი თავისა და სხვებისათვის საზიანო გადაწყვეტილებების მიღების გენდენციას.<sup>26</sup>

საერთაშორისო სტანდარტებიდან გამომდინარე, მინიმალური ასაკის დაკისრებისთვის განმსაზღვრელია ემოციური, გონებრივი და ინტელექტუალური სიმწიფე, რომლის თანახმადაც მნიშვნელოვანია სამედიცინო დასკვნები და ფსიქო-სოციალური მდგომარეობის გაანალიზება და არა საზოგადოების შეფასებები და ტრადიცია.<sup>27</sup>

## ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის რელევანტური ასაკი

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი ასაკი რამდენიმე მართლებით უნდა განვიხილოთ. კერძოდ, ინდივიდუალურად უნდა იქნეს განხილული არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი და ის ასაკი, რომლიდანაც, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გარეშე, რეფერირების გზით – სახელმწიფო რეაგირების გარეშე არ ტოვებს რთული ქცევის მქონე მოზარდებს, რაც მათ სამომავლო რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას ისახავს მიზნად. ასაკის დიფერენცირების შეფასება გარკვეულწილად მოიცავს სუბიექტურობის საფრთხეს, თუმცა იგი მნიშვნელოვანია მხედველობაში იქნეს მიღებული, რათა მაქსიმალურად იყოს მორგებული ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე.<sup>28</sup>

საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ მნიშვნელობით, იუვენალურ (არასრულწლოვანთა) მართლმსაჯულებაში თუ რა ასაკობრივი კატე-

გორიის ბავშვები მოიაზრებიან, განსაზღვრულია ამავე კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილში, რომლის თანახმადაც: „ეს კოდექსი გამოიყენება კანონთან კონფლიქტში მყოფი ახასხუდწლოვნის, ახასხუდწლოვანი დაზარალებულისა და ახასხუდწლოვანი გამოსაკითხი პიჩის/მოწმის ახასხუდწლოვანთა მართლმსაჯულების პირობებში მონაწილეობისას. ამ კოდექსის 38-ე–48-ე მუხლებით (გაჩდა 42-ე მუხლის პიჩვედი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლისა) დადგენილი ნიჩმები ვიჩვედება აჩეთვე 18 წლიდან 21 წლამდე პიჩზე, თუ აჩებობს დასაბუთებული ვაჩაუდი, ხომ მან ჩაიღინა საქაჩთვედოს სისხლის სამაჩთდის კოდექსით გათვადისწინებული ნაკლებად მძიმე დანაშაუდი ან მძიმე დანაშაუდი“.<sup>29</sup> ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „ახასხუდწლოვანი – 18 წლამდე ასაკის ახასხუდწლოვანი დაზარალებული, ახასხუდწლოვანი მოწმე, კანონთან კონფლიქტში მყოფი ახასხუდწლოვანი. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის მიზნებისათვის ახასხუდწლოვანდ ითვედება პიჩი, ხომედსაც ადმინისტრაციული სამაჩთადრეაჩვევის ჩადენის მომენტისათვის შეუსხუდდა 16 წელი, მაგჩამ აჩ შესხუდება 18 წელი, ხორო სისხლისსამაჩთებრივი პასუხისმგებლობის მიზნებისათვის – პიჩი, ხომედსაც დანაშაუდის ჩადენის მომენტისათვის შეუსხუდდა 14 წელი, მაგჩამ აჩ შესხუდება 18 წელი“.<sup>30</sup> რაც შეეხება, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს, იგი გულისხმობს: „18 წლამდე ასაკის პიჩი, ხომდის მიმაჩთაც: ა) აჩებობს დასაბუთებული ვაჩაუდი, ხომ მან ჩაიღინა საქაჩთვედოს სისხლის სამაჩთდის კოდექსით გათვადისწინებული დანაშაუდი; ბ) შედგენილია ადმინისტრაციული სამაჩთადრეაჩვევის ოქმი, ხომდის თანახმად, მან ჩაიღინა საქაჩთვედოს ადმინისტრაციულ სამაჩთადრეაჩვევათა კოდექსის 45-ე, 45<sup>1</sup> და 100<sup>2</sup>

29 საქართველოს კანონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი (2016). არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მოქმედების სფერო და გამოყენების წესი, კანონის ანალოგია. მუხლი 2. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=21>> [ბოლო წვდომა: 27.09.2022].

30 საქართველოს კანონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი (2016). ძირითად ტერმინთა განმარტება ამ კოდექსის მიზნებისათვის. მუხლი 3. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=21>> [ბოლო წვდომა: 27.09.2022].

26 იქვე.  
27 Unicef, Juvenile Justice, Innocenti digest, 4 <<https://www.unicef-irc.org/publications/pdf/digest3e.pdf>> [ბოლო წვდომა: 27.09.2022].

28 კილაძე, ს., ტურავა, პ., (2021). ბავშვის უფლებათა კოდექსის სახელმძღვანელო კომენტარი. თბილისი: გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 50

მუხდებით, 116-ე მუხლის მე-3, მე-5, მე-6, მე-8 და მე-9 ნაწილებით, 121-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 123-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 150-ე მუხლის 2<sup>2</sup> ნაწილით, 153<sup>3</sup> მუხლის მე-2 ნაწილით, 153<sup>6</sup> მუხლის მე-2 ნაწილით, 155<sup>2</sup>, 157-ე და 166-ე მუხდებით, 171-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 173-ე მუხლით, 174<sup>1</sup> მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, 174<sup>15</sup> მუხლის მე-4 ნაწილით, 175<sup>2</sup>, 177<sup>1</sup> და 178-ე მუხდებითა და 181<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილით გათვადისწინებული ადმინისტრაციული სამაჩთადეაჩღვევა; გ) გამოგანიდია გამამგყუნებელი განაჩენი ან ამ ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვადისწინებული ადმინისტრაციული სამაჩთადეაჩღვევისათვის ადმინისტრაციული სახედების დაკისხების შესახებ გადაწყვეტილება“.<sup>31</sup> საქართველოს კანონი „ბავშვთა უფლებათა კოდექსი“ ერთმანეთისგან ანსხვავებს ბავშვს და მოზარდს, კერძოდ: „ბავშვი – 18 წლამდე ახასხედწროვანი; მოზარდი – 10-იდან 18 წლის მიღწევამდე“.<sup>32</sup>

დღევანდელი მოცემულობისგან განსხვავებულად წესრიგდებოდა არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, კერძოდ, ერთმანეთისგან ანსხვავებდა არასრულწლოვნისა და მცირეწლოვნის ასაკს, არასრულწლოვანი იყო პირი, რომელსაც 18 წელი არ შესრულებია, ხოლო მცირეწლოვანი პირი, რომელსაც 14 წელი არ შესრულებია.<sup>33</sup> 2007 წლის 23 მაისს განხორციელდა ცვლილება საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში და პასუხისმგებლობის ასაკი რიგ საკითხებთან მიმართებით

12 წლიდან განისაზღვრა.<sup>34</sup> ამრიგად, ქართულ რეალობაში არასრულწლოვნის პასუხისმგებლობის ასაკი რიგ მუხლებთან მიმართებით 12 წლიდან იწყებოდა, თუმცა უმეტესად 14 წლიდან. ამგვარი პრაქტიკა, დაუშვებელია ზემოთ განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე, ვინაიდან 12 წლის ბავშვისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება არარელევანტურია სისხლის სამართლის მიზნებთან. საბედნიეროდ, დღეს არსებული ეროვნული ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, არასრულწლოვნის მინიმალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაწყისია 14 წელი, რაც ზემოთ განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე, კერძოდ, მოზარდის ტვინის განვითარების კუთხით, თუ როგორ აღიქვამს მის მიერ ჩადენილ ქცევებს, მის მიერ ჩადენილი ქმედების გაანალიზების კუთხით სრულ თანხვედრაშია მის ფსიქოლოგიურ-ფიზიოლოგიურ განვითარებასთან.

## ასაკი, რომლის არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი და რეფერირებისთვის მიზანშეწონილი მოცემულობა

საქართველოში არასრულწლოვანთა მინიმალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის გარდა, არსებობს არასრულწლოვანთა რეფერირების წესი, რაც ინოვაციური საკითხია და მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ სახელმწიფო რეაგირების გარეშე არ ტოვებს მოზარდთა იმ ასაკობრივ კატეგორიას, რომელნიც 14 წლის არ არიან, თუმცა რთული ქცევით გამოირჩევიან. აღნიშნული საკითხი დარეგულირდა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის №681 დადგენილებით, რითაც დამტკიცდა არასრულწლო-

31 საქართველოს კანონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი (2016). ძირითად ტერმინთა განმარტება ამ კოდექსის მიზნებისათვის. მუხლი 3. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=21>> [ბოლო წვდომა: 27.09.2022].

32 საქართველოს კანონი, ბავშვის უფლებათა კოდექსი (2019). კოდექსში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება. მუხლი 3. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=2>> [ბოლო წვდომა: 27.09.2022].

33 მეიშვილი, ზ. & ჯორბენაძე, ო. (2006). საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის 37-ე და 38 ნაწილების თანახმად, 126 <[http://www.library.court.ge/upload/criminal\\_procedure.pdf](http://www.library.court.ge/upload/criminal_procedure.pdf)> [ბოლო წვდომა: 27.09.2022].

34 ბოხაშვილი, ი., & ბერიძე, მ., (2009). არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები, სამართლის ჟურნალი, 2, 35; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, 109-ე, 117-ე, 137-ე, 178-ე (გარდა პირველი ნაწილისა), 179-ე და 238 1 მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩამდენი პირი (სსსკ-ის 44-ე მუხლის 38-ე ნაწილი).



ვანთა რეფერირების წესი, რომლის მიზანია ინსტიტუციური და კომპლექსური მიდგომის გზით რთული ქცევის მქონე არასრულწლოვნების სოციალიზაცია, რესოციალიზაცია, რეაბილიტაცია, დანაშაულის პრევენცია.<sup>35</sup> რეფერირების მექანიზმი შესაძლებლობას იძლევა დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის სააგენტოს რეფერირების ცენტრში პროკურატურის მიერ გადამისამართდეს: „ა) 7-დან 14 წლამდე ხორცი ქცევის მქონე ახასხუდწლოვანი, ხომლის მიმახთაც დასაბუთებული ვახაუდის სტანდარტით დასტუხდება საქახთვედოს სისხდის სამახთდის კოდექსის კეხდო ნაწილით გათვადისწინებული ქმედების ჩადენა; ბ) 14-დან 18 წლამდე ხორცი ქცევის მქონე ახასხუდწლოვანი, ხომლის მიმახთაც დასაბუთებული ვახაუდის სტანდარტით დასტუხდება დანაშაუდის ჩადენა, მაგხამ ახ მოხდა მისის განხიდება ან ბხადე-ბა; გ) 14-დან 18 წლამდე ახასხუდწლოვანი, ხომ-დის მიეხ დანაშაუდის ჩადენა ახ დადასტუხდა, მა-გხამ მის ქმედებაში იკვეთება ხორცი ქცევა“.<sup>36</sup> „ხეფეხიხების ცენტრში გადამისამახთებას ახ ექვემდებახება 14-დან 18 წლამდე ახასხუდწლოვანი, ხომლის მიმახთაც დაიწყო განხიდებას პხო-ცედეუხები ან გამოგანიდია დადგენიდება პიხის ბხადეების შესახებ“.<sup>37</sup> რეფერირების ცენტრი 2020 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა,<sup>38</sup>

რომელიც აქტიურად ახორციელებს მასზე და-კისრებულ მოვალეობებს.<sup>39</sup>

არასრულწლოვანთა რეფერირებისათ-ვის არასრულწლოვანად მიჩნეულია 7-იდან 18 წლამდე ასაკის მოზარდი.<sup>40</sup> სისხლისსამარ-თლებრივად პასუხისმგებლობა ვერ დაეკის-რება, თუმცადა, რეაგირება იწყება 7 წლიდან, კერძოდ: „7-იდან 14 წლამდე ასაკის იმ ახასხუდ-წლოვნებზე, ხომდებთან მიმახთებაშიც კომპე-გენტუხი უწყებების მიეხ დასაბუთებული ვახა-უდის სტანდარტით დადასტუხდება საქახთვედოს სისხდის სამახთდის კოდექსის კეხდო ნაწილით გათვადისწინებული ქმედების ჩადენა“.<sup>41</sup>

**სახლვარბარეთის  
ექვეყნების გამოსდლილება  
სისხლისსამართლებრივი  
პასუხისმგებლობის ასაკის  
ბანსახლვრის საკითხში**

საერთაშორისო დოკუმენტების თანახმად: „კონვენციის მიზნებისათვის ბავშვად ითვდე-ბა ყოველი ადამიანი, სანამ 18 წლის ასაკს მიალ-წევდეს, თუ კანონით, ხომელიც ამ ბავშვისადმი გამოიყენება, ის უფხო ადხე ახ აღწევს სხუდ-წლოვანებას“.<sup>42</sup> რეკომენდაციაში აღნიშნულია,

35 საქართველოს მთავრობის დადგენილება №681 2019 წლის 31 დეკემბერი, არასრულწლოვანთა რეფერი-რების წესის დამტკიცების შესახებ, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4765155?publication=0>> [ბოლო წვდომა: 27.09.2022].

36 საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის 06 მაისის №52-გ ბრძანება „რთული ქცევის მქონე არასრულწლოვანთა რეფერირების პროცე-დურებში საქართველოს პროკურატურის სამოქმედო ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“, რთულიქცევის მქონე არასრულწლოვანთა რეფერირების პროცედურებში საქართველოს პროკურატურის სამოქმედო ინ-სტრუქცია, ზოგადი დებულებები, მუხლი 1, ნაწილი პირველი

37 საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის 06 მაისის №52-გ ბრძანება „რთული ქცევის მქონე არასრულწლოვანთა რეფერირების პროცე-დურებში საქართველოს პროკურატურის სამოქმედო ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“, რთულიქცევის მქონე არასრულწლოვანთა რეფერირების პროცედურებში საქართველოს პროკურატურის სამოქმედო ინ-სტრუქცია, ზოგადი დებულებები, მუხლი 1, ნაწილი მეორე.

38 საქართველოს გენერალური პროკურატურა, (2021). არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება – წლიურ-ი ანგარიში – 2021, 35 <<https://pog.gov.ge/uploads/>

<[cc0023c6-2021-wlis-angarishi-arasrulwlovanTa-marTlmsajuleba.pdf](https://pog.gov.ge/uploads/cc0023c6-2021-wlis-angarishi-arasrulwlovanTa-marTlmsajuleba.pdf)> [ბოლო წვდომა: 27.09.2022].

39 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, პრევენ-ციის ცენტრის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრუ-ლებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს რეფე-რირების ცენტრში პროკურატურის მიერ კანონთან კონფლიქტში მყოფი, 14 წლამდე ასაკის 34 არასრულ-წლოვანი იქნა გადამისამართებული – იხ. საქართვე-ლოს გენერალური პროკურატურა, (2021). არასრულ-წლოვანთა მართლმსაჯულება – წლიური ანგარიში – 2021, 35 <<https://pog.gov.ge/uploads/cc0023c6-2021-wlis-angarishi-arasrulwlovanTa-marTlmsajuleba.pdf>> [ბოლო წვდომა: 27.09.2022].

40 საქართველოს მთავრობის დადგენილება №681 2019 წლის 31 დეკემბერი, არასრულწლოვანთა რეფერი-რების წესის დამტკიცების შესახებ, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4765155?publication=0>> [ბოლო წვდომა: 27.09.2022].

41 საქართველოს მთავრობის დადგენილება №681 2019 წლის 31 დეკემბერი, არასრულწლოვანთა რეფერი-რების წესის დამტკიცების შესახებ, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4765155?publication=0>> [ბოლო წვდომა: 27.09.2022].

42 გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1989 წლის 20 ნოემბრის კონვენცია „ბავშვის უფლებების შესა-ხებ“, მუხლის პირველი <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0>> [ბოლო წვდო-



რომ 12 წელს ქვემოთ პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის დაწესება არის საერთაშორისოდ მიუღებელი და სახელმწიფოებმა უნდა განაგრძონ მინიმალური ასაკის გაზრდა უფრო მაღალ ასაკობრივ დონემდე.<sup>43</sup>

ბავშვის უფლებათა კონვენცია მინიმალურ ასაკს არ აწესებს, თუმცა, მე-40-ე მუხლის მე-3 ნაწილის იმას სთხოვს სახელმწიფოებს დააწესონ მინიმალური ასაკი და იქვე განმარტავს, თუ რა იგულისხმება მინიმალურ ასაკში: „*ხომრის ქვემოთაც მიჩნეულია, რომ ბავშვებს ახ შეუძლიათ სისხლის სამართლის კანონმდებლობის დახმავა*“.<sup>44</sup> აღნიშნული საკითხი უფრო მეტად კონკრეტიზებულია გაეროს მინიმალურ სტანდარტულ წესებში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ ე.წ. „პეკინურ წესებში“, რომლის მეოთხე მუხლის თანახმად: „*იმ სამართლებრივ სისტემებში, რომლებშიც მიღებულია ახასხუდწლოვანთათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის ცნება, ქვედა ზღვაში ამ ასაკისა ახ უნდა იქნეს დადგენილი ძარზე ადგიურ ასაკში, ემოციური, სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ასპექტებიდან გამომდინარე*“.<sup>45</sup>

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკთან დაკავშირებით ბევრი კამათი არსებობს თუ რომელი უნდა იყოს საერთაშორისოდ მიღებული და რომელია ყველაზე შესაფერისი პერიოდი არასრულწლოვანთათვის პასუხისმგებლობის გააზრების კუთხით, თუმცა, ერთიანი აზრი ამ კუთხით არ არსებობს, მაგრამ არსებობს ბავშვის უფლებათა კომიტეტის №10 რეკომენდაცია, რომლის თანახმადაც „*12 წლამდე ასაკის ახასხუდწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საერთაშორისოდ მიუღებელი უნდა იყოს*“.<sup>46</sup>

